

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფროეპა

ცალკე ხომარი ღირს შაურათ

რედაქცია: სოფოკლავე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მღწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газ. „Фроэпа“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდილი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მღწერა გაზეთს

„ფროეპა“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდან პირველ იანვრამდე 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპევი.

ხელის-მღწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8). შალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრეა: ВЪ Типограф. ВЪ редакцію газетъ „Фроэпа“.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 5 ივლისს. ბუშინ მოვიდნენ აქ ბერლინიდან ლორდ ბიკონსფილდი და მარკიზ სალსბიური. ლონდონის ხალხი აღტაცებით და დიდის ამბით მიეგება ამათ; ქუჩებში იყენენ ჩამწკრივებულნი და ისე უტყდნენ.

ღღეს ლორდ ბიკონსფილდი გამოვი-

და თავის სახლის ბალკონზე, დაუმაღლა ხალხს ასე მიღებისათვის და გამოუცხადა, რომ საპატიო მშვიდობიანობა მოიტანა.

მარკიზ სალსბიურმა გაუგზავნა პარლამენტს ნოტა და მორიგების პირობა. ნოტაში მოხსენებულთა, მორიგების პირობა ოსმალეთის სასარგებლოდ არის შედგენილი, რომ დღეის შემდეგ ოსმალეთის დაუმოკიდებლობა და თავისუფლება დაკული იქნება; ოსმალეთს დაუბრუნეთ ბევრი მიწები, რომელიც სან-სტეფანოს მორიგების ძალით, რუსეთს უნდა დაესაკუთრებინათ; რუსეთს აღარ ექნება გველენა ბოლგარიაში; სანამ ოსმალეთი სხვა ყველა მოვალეებს არ გაისტუმრებს, მანამ რუსეთს არ ექნება უფლება, რომ ომის ხარჯი (კონტრიბუცია) გადაახდევინოს ოსმალეთსაო.

მოსკოვი, 5 ივლისს. მოსკოვის ღენერალ-ლეტერნატორმა თ. ლოგოურუკოვმა გაუგზავნა გუშინ ცესარევის ერთი მილიონი და ას-ორმოც-და-ათი ათასი მანეთი კრეისერების სასყიდლად შემოწი-

რული ფული. ახლაც ბევრი შემოსწირავი შემოდის ამ საგნისათვის პეტერბურლის უმთავრეს კომიტეტს.

პეტერბურლი, 6 ივლისს. თ. ბორჩაკოვს და ბარონ შომინის დღეს, ხუთშაბათს, მოვლიან ბერლინიდან ცარსკოვ სელოში.

საქართველო

ღლიური

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ ძავეასის სამასწავლებლო მაზრაში აშქამალ შვიდი დირექტორისა და ისპექტორის ადგილია თავისუფალი თუ სახალხო შკოლებისა და თუ გიმნაზიების. ამბობენ, სხვათა შორის, რომ შუთაისის გუბერნიის სახალხო შკოლების დირექტორის ადგილიც ამ დღეებში დაიკლება, რადგან უფ. ტროიე სტოებს ამ თანამდებობას. ამას გარდა ზოგიერთი ახალი მასწავლებლის დანიშნეაც საქირაოა.

მაგრამ არც მასწავლებლების ადგი-

ფელტონი

მგზავრის უნიონები

(დასასრული *)

მესამე დღეს, საათის ოთხზედ ნაშუადღევს გვერდებ-დაღწილი, მუხლებ დახუთული, თავ-გარეცხებული მოვედით სატახტო ქალაქში.

მტვერი და საზარელი სიმყრალე პირველად მოგვეგება ნავთლულში. მიკვირს, რა ჭკუაში მოსვლიათ, ვისი განკარგულებით არის, რომ გოშპიტლების სიხლოვეს, სადაც უნდა ცდილობდნენ, რომ კარგი ჰაერი ტრიალებდეს,—ამოდენა ნაგავი, მთელი შალაქის უწმინდურობა, სიმყრალე ქუჩის აქეთ-იქით ნაპირას გამოუფენიათ! შაფრთხილებთ ყველას, ვისაც არ გაგივლიათ, სანამ ნავთლულის ღოშპიტლებთან მიხვიდოდეთ, ცხვირ-პირი მაგრათ აიკარით, თუ არ გინდათ გულის არევა.

*) „ფროეპა“ № 133.

თფილისის სიცხეები, ყველაფრის სიძვირე, ქურდობა და ავაზაკობა ხომ უჩემოთაც იცით.

ღიდის გაჭირვებით მოვიდა ჩვენამდინ რიგი, ავიღეთ ბილეთი, მივბარეთ ბარგი-ბარხანა და დავიჭირეთ ვაგონში ალაგი. ძონდუქტორმა დაუსტინა, მეტუტკემ რკით ბანი მისცა,—დასტვენა მაგრე არ უნდაო, აბა მე მიყურეთო და გასაძახა „ცივის სმით“, მშობიარე დედაკაცივით „მაშინამ“ და გამოესალმა თფილისს.

მერსად ვერ შეხვდებით ამოდენა სხვადა-სხვა ნაციის ხალხს ერთად, ვერსად ვერ შეადარებთ ერთმანერთს სხვადა-სხვა ხალხს, როგორც აქ. შინ გინდათ, აქ არ ნახათ! სადაური გინდათ, არ შეხვდეთ! ძახელი, ქართლელი, იმერელი, მეგრელი, გურული, აფხაზი, რუსი, სომეხი, ფრანკოზი, ნემცი, ურია, თათარი, სვანი, ბერძენი და სხ.; მიიღარო, ღარიბი, გლახა; სწავლული, უსწავლელი, პატოსანი, უსინილისო, გლეხი, თავადი, მღვდელი, დედაკაცი—სულ ერ-

თად არეულან დომხალივით. მართი მწარეთ დაღვრემილა და თავის ბედს ჩამოსტირის; მეორეს მუხლი-მუხლს გადაუღვია და გაცხარებული პაპიროზს ეწვეა და თან ჯანიაათ ახველებს; მესამე წამოწოლილა და მწუხარებით კენესის; მეოთხეს ტიკი დაუკარებია და წურბელასავით სწოვს ღვინ ას; მეხუთეს გაზეთი დაუჭერია და ომის ამბებს ჰკითხულობს; მეექვსეს წინ სამუშაო რაღაღები დაუწყვია და ნერწყვის ყლაპვით შეჭყურებს ღვინის მსმელს; მეშვიდე თვალებს აქეთ-იქით აფაციცებს, თითქო რალაც დაკარგვია და დემებსო; მერვე მოუსვენრად მხიარულობს, საქრავს უკრავს და ზედ დამღერის; ზოგნი ქალებს მოსხდომიან და გეჭურათ „შენი! შენი!“ ყვირიან და სხ.

რო ჩამოჰყეე და თითო-თითოთ გამოჰკითხო, ვინ სად ჰყოფილა, ან შიდის და რისთვის?—პირველი—დავიღუპე, დაენდობი და საჩივლელად ვიყავიო,—გეტყვის; მეორე—ფოდრათი მაქვს აღებული, ჯარს ქერი უნდა ჩავებარო, (ან ხორცი) და ორასი თუმანი უნდა მი-

ლებზე და არც დირექტორებად ჯერ არაის ნიშნავენ: ძველი პოპეჩიტლის უფ. ნევეროვის გამოსვლა სამსახურიდამ გარდაწყვეტილია და მოვლიან ახალ პოპეჩიტლს უფ. იანოვსკის.

* * ჩვენ გვითხრეს, რომ უფ. ახვერდოვი, რომელსაც ამისთანა უბედურობა შემთხვა გუშინწინ, ამჟამად თფილისის საავთმყოფოში წვესო. ია აპირებს თურმე უფ. შახ-პარონიანზე ჩივილს, რადგან სრულიად უსაფუძლოთ, უშიზეზოთ მომაყენა შეურაცყოფაო.

იქ შენიშნავთ, რომელიც ამ საგნის შესახებ იყო გუშინწინდელს „ღრობაში“ დაბეჭდილი, სხვათა შორის, მოყვანილი იყო უფ. შახ-პარონიანის სიტყვები, ვითომც უფ. ახვერდოვი შევარდნილი იყოს იმის სახლში და რევოლვერით განეზარახოს იმის მოკვლა. ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ეს სრულიად ტყუილი არისო, ახვერდოვს რევოლვერი არ ჰქონია და სრულიად არ ნდომებია უფ. შახ-პარონიანის მოკვლაო.

ჩვენ გვითხრეს აგრეთვე, რომ უფ. შახ-პარონიანის კარებთან, პოლიციის განკარგულებით, მუდამ სალდათი იდგაო და ერთი დაძახების მეტი არა უნდოდაო, რომ მოეხმო და დაეჭვრებინა უფ. ახვერდოვი, თუ ის რამე უწყსოებას ჩაიდენდა იმის სახლშიო. ამის გამო უფ. შახ-პარონიანს ბევრნი ამტყულებენ, რომ თავის ბიჭებს დააჭვრებინა ხსენებული ახვერდოვი, შეაკვრევიან და აცემინა, თავი გაუტყნეს.

შეკვლია, რომ ეს საინტერესო საქმე მალე სასამართლოში იქნება განხილუ-

ლი და მაშინ ამის შესახებ ბევრს რომანტიულსა და დრამულ გარემოებებს შევიტყობთ. . .

* * ჩვენ შევიტყეთ, რომ ქართული გალობის ნოტებზე გარდასაღებად ამჟამად თფილისში კომისია არის შემდგარიო. კომისიის წევრებად, როგორც გვითხრეს, ამორჩეულნი არიან: არხიმანდრიტი მაკარი, მღვდელი ბ. მღებრივილი (მ. პარბელოვის მოწაფე), ეგზარხოსის მგალობლების რეგენტი და თფ. სასულიერო სემინარიაში გალობის მასწავლებელი უფ. მაჭავარიანი.

ამობენ, რომ, ახალი ეგზარხოსის განკარგულებით, სიონის სობოროში ერთის მხრით რუსულად იქნება გალობა და მეორეს მხრით ქართულადო.

ამობენ აგრეთვე, რომ არხიმანდრიტი მაკარი ამჟამად ბურიაში მიდისო მგალობლების მოსაყვანათაო.

ამ საქმის კარგად მკოდნე პირებისაგან გავიგონეთ ჩვენ, ძალიან კარგი იქნებაო, რომ კომისიამ მ. პარბელოვის გალობას მიაქციოს ყურადღებაო, რადგან ნამდვილი ქართული გალობა ამჟამად საქართველოში მხოლოდ ამ მოხუცებულმა მღვდელმა და იმის შვილებმა იციანო.

* * ჩვენს ვამოჩენილს მილიონერს უფ. ივ. მინ. მიზნოვეს, სანიტარული კომისიის ჩივილით, თფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ ერთის თვით ციხეში დატუსაღება გადაუწყვიტა ძუკიის ხილზე რომ მალახიები აქვს, იმის უკან ადგილების (მა-

დათის კუნძულის) ბინძურად შენახვისათვის. მომრიგებელ მოსამართლემ კმავე საგნის გამო, ორჯერ გადახდევინა უფ. მიზნოვეს ას-ასი მანეთი ჯარიმა. მაგრამ ამან ხსენებული მალახიის პატრონებს გამოართვა თურმე ეს ფული და ისე გადაიხადა. თვითონაც რომ გადაეხადა, რა დააკლდებოდა! აი ამისთვის, რომ იგრძნოს რამეო, მოსამართლემ ახლა დატუსაღება გარდაუჭრა იმას. დაულოცე სამართალი. . . .

* * ბაქოდამ იწერებინა, რომ იქაურ ნავთის წყაროებიდამ ამ უკანასკელ დროს იმდენი ნავთი გამოდისო, რომ პატრონები ვერ ასწრობენ, ვერც ახერხებენ მოგროვებას და ამის გამო ეს ნავთი გადის მინდორში და ყანებს აფუჭებსო. შუთი ნავთი ადგილობრივ ამჟამად ერთ კიპეკად იყიდება თურმე.

„ღრობის“ კორკასკონდენსია

ხონი, 28 ივნისი. ორს საგანზედ არის ამჟამად ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიქცეული. ეს ორი საგანიც განლაგსთ: ერთი მილიციონერების გამოწვევა და მეორეც სამჯერ მღვდლებთან ეკლესიაში გამოცხადება სასიძო-სასძლოს ქორწინებაზედ, ურომლოთაც ჩვენში არ შეიძლება, რომ მოხდეს ქორწინება ანუ მოწმობის მიცემა საქორწინეთ ვისმეზედ.

მილიციონების გამოწვევა განლდათ აქ თვის ოც-და-ოთხს, შაბათს. ამ გამოწვევაზედ დაესწრენ მიროვოი პოსრედნიკი და ადგილობრივი პრისტაივი,

ვილოვო; მესამე—ავთმყოფობა მტანჯავს, ქვეყნის წამალი მოვლიე და ახლა წყლებზედ მიედვიარ საბანათაო; მეოთხე—ცოლ-შვილს მოვზორებივარ, გადმოვხეტებულვარ, ქვეყანას ვატყუილებ, ვყვლიფე, ჯანს ვილევ და მარა ვქნა, რომ არც კი ვიხიარულოვო? მეხუთე—ომში საყვარელი შვილი მყავს და უნდა გავიგო, რიგდებიან, თუ არა და სხ. სხვას ქვეყანაზედ აღარაფერი აღარ დარჩომია, გარდა მხიარულობისა და ამითი უნდა მოიქარვოს გული; მეცხრეს გულში სიყვარულის ალი უტრიალებს და დასაზრეთ წვეთს ეძებს და სხ.

და ასე თითქმის ყველას მწუხარების ნიშნები ატყვია, ყველას გულში მოუსვენრად აქვს; ყველა მომშეულივით წანწალებს, მოძრაობს; სადღაც რაღაცას ვლტვის ყველასი გული, არ არის კმაყოფილი თავის აწმყოთი; ზოგი მწუხარებაში ჰხატავს თავის შინაგან მღვლეარებას, ზოგი მხიარულებაში, ყველას კი ერთი და იგივე გაუმაძღრობა ეტყობა, ემცნევა. ათში ერთი თუ იქნება მოსვენებული, დამშვიდებული, კმაყო-

ფილი თავის ბედისა, უღარდელი, გულგამაძღარი! უნებურათ მაგონდება ჩვენი დაუფიწყარი პოეტის ბარათაშვილის სიტყვები:

„ან კი რა არის ჩვენი ყოფა, წუთის-სოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი? მინ არის იგი, ვისაც გული ერთხელ აღევისო!“ და სხ. . .

— დაილოცოს, ღმერთო, შენი სახელი! ტურთხეულ იყვეს განგება შენი უკუნისამდე! „ბამოუტიტყნია“ ბუზის ოდენა ორ-ფეხა ადამიანი საწვალებლად და სატანჯველათ! დაიბადება დედის მუცლიდამ მარცვლის-ოდენა ბლარი და იმ წამს რაღაცა უნებურად შეჰყვირებს ქვეყანას: „უუა, უაი!“ შიმშილი, წყურვილი, სიციხე, სიცივე, სიღარიბე, ავათმყოფობა, ჯავრი, ცოლიშვილი, — სულ ყველაფერი სადარდელათ დაუწყსებია, ყველაფერი საწუხებლად გაუჩინიაო! — ასე შესივიდა ღმერთს ერთი გულ-დამწვარი კაცი.

მართლაც, ყოველი მწუხარება, განსაცდელი, ყოველ გვარი შემაშფოთებელი და შემაწუხებელი მოვლენაები კაცის ძაფის სიმსხო კისერზედ და მერცხლის ტოლა გულზედ დაულაგებია სატვირთებელად! შაინდავ და ყოველ მხრიდამ ისმის დაუბოლოებელი კენესა უზომო, უფსკრულ, განუსაღვრელ, წყვილად სიბნელიდამ! ისმის კენესა, კნავილი: „როგორ ვიპოვო გაუმჯობესობა, თავისუფლება, მოსვენება, უღარდელობა?“

— სიმდიდრით, სიმდიდრით, სიმდიდრით! შულებით, ფულებით, ფულებით! და ამათ შესაძენათ, ამ მიზნამდი მისახწვევად იზრომე, ეწვალე, მიიყენე ყოველივე გაჭირება, ისწავლე ათას გვარი ოინები, ხერხები, თვალები გამოაჭყოტე, კბილები დაილე-ე, ამას ეცი, იმას ეცი, ხეს მოედე, მიწას მოედე, ქვას დაეძვე-რე, კლდე გადმოაბრუნე, ამას უტბინე, იმას უტბინე, გული გაიხეთქე, ჯანი და-ისუსტე და იქნება მიახწიო შენს სურვილს, იქნება გაიძლო ე სამიწე გული, გაისუტო კისერი, გაიძლო გაუმაძღარი თვალები!

რომელთაც ხალხს წინაპირველად აუხს-
ნეს კარგად, გასაგონათ ამ მილიციო-
ნერების გამოწვევის მნიშვნელობა და
მათი დანიშნულება, რომლის შემდეგ
ხალხი მოემზადა მათის ბრძანების აღს-
რულებას.

მხლა სწორეთ გამოცდილებით დაე-
რწმუნდით, რომ ხალხისთვის დიდი
მნიშვნელობა ჰქონია საგნის რიგობათ
ახსნას.

შემდეგ უ. მიროვი პოსტდენიკი შე-
უდგა მამასახლისისგანით წარმოდგენი-
ლის ოჯახობით სიის სახალხოთ შემო-
წმებას—თუ თვითოეულ ოჯახობაში
რამდენი სული იმყოფება. როდესაც
ეს გაათავა, აღმოაჩინა ამ საზოგადო
სიიდან შეიდი, ექვსი, ხუთი და ოთხი
სულიანი ოჯახობა, რომელნიც დახ-
ლოვებით შეიქნა ორმოც-და-ჩვიდმეტამ-
დე. ამის შემდეგ ხალხს უთხრა, რომ
ამ ორმოც-და-ჩვიდმეტი მოსახლიდამ
უნდა აღმოაჩინოთ და მომცეთ ოც-და-
ხუთი კაციო და ამისათვის თუ ისურ-
ვებთ თქვენ, მე ამ აღმორჩევას მივან-
დობ ორ და სამ სულიანს და თუ
არა, შეგიძლიანთ კენჭით აღმოაჩინო-
თ. უნდა მოგახსენოთ, რომ შეცდა უ.
მიროვი პოსტდენიკი ორ-და-სამ სული-
ანების მიხედობაზედ, რადგან შემდეგ აღ-
მორჩევისა ბევრისაგან გავიგონე—აღ-
მორჩეულ პირებში: „ჩემზედ შური
ჰქონდათ და მისთვის დამნიშნესო!“ და
კენჭი რომ ყოფილიყო, ეს ეჭვი მოს-
პობილი იქნებოდა და ყველა კმაყოფი-
ლი გახდებოდა თავის ბედისა.

საზოგადოთ უნდა მოგახსენოთ, რომ
ძლიერ მშვიდობინი აღმორჩევა გახლ-
დათ ამ-ჟამად ჩვენში; არავითარი ბო-
როტ-მოქმედება არ მომხდარა, გარდა
ერთი საეჭვოსა. ზოგიერთები დარწმუნ-
ებით ამბობენ, ვითომც მამასახლისს
ზოგიერთი ხუთი და ექვსი სულიანი ო-

ჯახობა გამოეტოვებინოს საზოგა-
დო სიიდან და მათგანით მიეღოს სამა-
გიერო პატივის-ცემა...

იმერეთის ებისკოპოსმა ბაბრიელმა
გამოსცა ცირკულიარული მოწერილო-
ბა, რომ არავინ მღვდელთაგანმა არ გა-
ბედოს სამჯერ გამოუცხადებლათ არა-
ვისზედ არც ჯვარის დაწერა და არც
მოწმობის მიცემა. ეს მისთვის რადგანაც
სწირათ ხდებოდა წინააღმდეგ კანონისა
ქარწინება და პასუხის-გებაში ვარდ-
ებოდნენ მღვდლები; ამისათვის, რომ და-
ეხსნა მღვდლები ეგრეთის პასუხის-გე-
ბისაგან, გამოცა ეგრეთი ბრძანება.

ეს ბრძანება დაუკლებლათ სრულდებ-
და განსაკუთრებით ჩვენში; მაგრამ ამას-
თან, საუბედუროთ, ისიც უნდა მოგახ-
სენოთ, რომ ძლიერ ცუდი გავლენა
იქონია ჩვენს ხალხში და დიდი უკმა-
ყოფილება ჩამოაღო მღვდლებსა და
ჩვენს ხალხს შორის; რადგანაც ეს
სამჯერ გამოცხადება ხდება სამის
კვირის განმავლობაში და უნდა იცო-
დეთ დარწმუნებით, ჩვენში რომელიც
ქარწინება სამ კვირას შეჩერდება, ისე
რომ ხალხმა გაიგოს ის, თითქმის არც
ერთი არ მოხდება! როგორც ყველგან
ისრე ჩვენშიაც, ბოროტი ენები და ენა-
ტანიები ბლომათმოპოვება და მიხეზიც
ამ სამჯერ გამოცხადებულის ქარწინე-
ბის შეუსრულებლობისა ეს გახლავსთ.

მაგალითიც გახლდათ ამისი: ერთს
აქაურს ქალს ირთავდა ერთი ვინმე, და
ქალის ჭირისუფალი დაფარულად არ ახ-
დენდა საქმეს, რადგან იცოდა, მაინც
ქალის გათხოვებას სამის კვირის გან-
მავლობაში გაუშვლანებლად ვერ
შეასრულებდა. ამისთვისაც ამ ქალის
ჭირისუფალმა გაანმინა ეს საქმე; გაი-
გეს თუ არა ბოროტმა ენებმა, იმავე
წამს ჩამალეს... მაგრამ ეს კიდევ არაფერი.
ერთი ახლოგაზდა ირთავდა ერთ აქაურს

სრულიად ყმაწვილს ქალს ასრე ცამეტ-
თოთხმეტი წლისას და დაქვევ, გუთავე
ბული იყო: ქალი უნდა დაეწინა. მრ-
მა პატიოსანმა მანდლორისანმა ისრე
მწარეთ უგინეს თურმე სასიძოს ქალი,
რომ ჩამალეს.

წარმოიდგინეთ, სადაც ამისთანა ბავ-
შის გათხოვება კი ჩამალეს ამ ბოროტ-
ენებმა, რასაკვირველია, რომ საბრალო-
ები—ოცი, ოც-და-ხუთი და ოც-და-ათი
წლის ქალები სრულიად უნდა არ ელოდენ
და მართლაც დარწმუნებულნიც არიან,
რომ სანამდის ეს სამჯერ გამოცხადება
არ მოისპობა, ვერ ეღირსებიან გათხო-
ვებას...

მოგახსენებთ, ჩვენში გახლავს ისეთი
მღვდლები, რომელთაც გვარიანათ ეს-
მისთ თავიანთი დანიშნულება და ცოტა
შემძლებნიც არიან; ამისათვის ძნელია
მათი შეცდენა ან ფულით, ან სხვით
რითიმე. სოფელში კი შეიძლება კიდევ,
რომ მოახერხოს კაცმა ჯვარის-წერა და
კიდევაც ზოგიერთ ალაგას სასაცილო
შემთხვევა მოხდა. მახლობლათ ხონი-
სა სამ-ოთხ ვერსტზედ ერთი გავლენი-
ანი მოწაფე მივიდა თავის მოძღვართან
და უთხრა:—ქალს გათხოვებ და დღესვე
ჯვარი უნდა დამწეროთო. შულებს
კარგათ მოგცემ. თუ არ აღმისრულე
ეს, სოფელს ავიბუნტებ ისრე, რომ შენ
არ გინდომონო! რა ქნას საბრალო
მღვდელმა?! თუ არ აასრულა ცირკუ-
ლიარული ბრძანება, დასჯიან, თუ ალა-
სულა, მრევლი უკმაყოფილებას დაიწ-
ყებს მასთან და ამასთან ბლომათ ფუ-
ლების მიცემის შეპირებამაც გაამხნევა
საბრალო ჩვენარდა ერთ განსაცდელში!
მეტი გზა არა აქვს, უნდა მოახერხოს
ისრე, რომ არც დაწვას შამფური და
არც სამწვადე და კიდევაც შეეწია ბედი
და მოახერხა ეს: უთხრა ქალის ჭი-
რისუფალს, რომ შესვი ცხენზედ კა-

ცოტა მომსხო ჰყოფილიყო ქუდი და
მოდიდო გული ადამიანისა! თუ კი ამათ
ეს ამოდენა დაუთვლელი და უძრავი
ტირთი, მოუწელებელი და გაუწელებ-
ელი, დაუშრეტელი ცეცხლის ლული
ჰქონდა დაწესებული, განა არ შეიძლე-
ბოდა და უმჯობესი არ იქნებოდა, რომ
თითო ხელის დადება ორ-ორი ყურებისა
და მთელი ჩალადაჯის ტოლა ენის ბად-
ლათ შეინდის კურკის ოდენა გული და
ნალარის ჯოხზედ უწერილესი ქუდი გა-
დიდებულყოფნენ?!

ნეტაი გვიკეთებდეს მაინც რასმეს ან
ერთი, ან მეორე! მაშინ გვიკეთებთა აქეთ-
იქით, გაეკეზულ ადგილებზედ ეს ამოდენ-
სა სმენელობის ორღანოები და რას გვი-
კეთებს? არაფერს!—როგორ არაფერს!
კი-რაფერს! მაგრამ სასარგებლოს მაინც
არაფერს! სასარგებლო და საჭირო რამე
ბუკის, მეორეთ მოხელის საყვირის ხმი-
თაც რომ ჩამოგებდავლონ, თქვენც არ
მომიკვდეთ, თითქო კოლომ „დაიპუზუ-
ნაო“. და თუ „სხვანაირმა“ რამემ გაი-
ჩუჩუნა, დავაფრინდებით აქეთ-იქით ყუ-
რება და გავსჭიმავთ ხოლმე, ან თითებს

ვიხმართ კალაპოტებთ და იმითი გავი-
ფართოვებთ, იქნება უფრო გავიგონო-
თო! ნეტავ თმაში მაინც ჰყოფილიყო
წაგრაგნილი ე დალოცვილები!

ან კიდევ ეს რეზინივით გამწვევ-გამომ-
წვევი და ჯარასავით შოტრიალევ „უძე-
ლო, უფხო“ ენა? მასინსილებთ მხო-
ლოდ მაშინ, თუ გესლ-მხამ-საწამლა-
ვით დარუმბულა გვაქვს! თუ არა მოუ-
ჭრთ ხოლმე კბილებს კბილებზედ და
დედი მისის შვილი იქნება, დატოკდეს!
პიდე მადლობა ღმერთს, რომ ამ მახვილ
იარაღს მახვილი იარაღები (კბილები)
ყარაულობენ, თორე ესეც რომ სმენე-
ლობის ორღანოებისავით გაკაფულ ად-
გილას იყვეს, ოჰო, ოჰო, ოჰო, ოჰო!

ახ, გულო, გულო! რა ხარ? როგორ
უძლებ ამოდენა ჰმუნვას? მუა და რკინაც
გაცვდებოდნენ, თუ შენოდენა ჯაფა
გამოველოთ! მაგრამ, ეჰ, აკი შენცა
ცვლები და მტვრათ იქცევი ხოლმე,
შე საწყალო, ერთ დროს! პიდე ბარაქალა,
რომ იმ ერთ დრომდი სძლებ და გმირუ-
ლად უხედები ამდენ განსაცდელს!

ამას უმადლიდევ იმ დალოცვილ იმედს,
რომელიც ათასში ერთხელ ჩაგეჭუტავს
ხოლმე თავის ყუქუნა თვალებს; უმადლი-
დევ იმ „ბედის ვარსკვლავს“, რომელიც
დაფრინავს აქა-იქა, და რომელიც ზოგ-
ჯერ ჩამოგიქროლებს ხოლმე შორი-ახ-
ლოს! რა ისიც არ იყვეს, ან დაგივიწ-
ყოს, მოგიძულოს, რალა გეშველებოდა?
რალა იქნებოდი? მაგრამ შენ ისეთი
მაგარი ხარ, გულო, რომ იმასაც გაუძ-
ლებდი, იმ დროსაც შენ ყოჩაღათ იტყო-
დი ჩვენი უკვდავი პოეტის უკვდავ სიტ-
ყვებს:

„რათ მრისხანებ, ჩემის ბედის ვარს-
კვლავო?
მაინც გეტრფი, თუმცა სწირათა მკლავო!
შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას,
შეჩვივა გული სევდითა კრთოლვას!
ნუ გგონია ბედსა მათ დამიმწარებ,
რომ უეცრად ბუქით, ნისლით მიფარებ?“
ძარგი, ახლა კი კმარა; თორე, ახლან-
დელი იქვიანი ხალხის ამბავი რომ ვიცო,
უღმრთოობასაც შეგვეწამებენ ამ გვარ
სიტყვებში...
თეოფ. ძანდელაი

ცები და აფრინე სოფელში რომ სოფელს თავი მოუყარონო. ძალის ჭირისუფალია აღასრულა ეს ბრძანება. როცა მოიყარა რამოდენიმე ქალმა და კაცმა თავი ეკლესიაზედ, შეინმო მღვდელმა ეკლესიაში და გამოუცხადა მათ, რომ ამა-და-ამ ქალს ესა-და-ეს კაცი ირთავს და ხომ ნათესაობა არ გაგიგონათო? ბადით გარეთ და კარგათ იფიქრეთო. ამ წაირათ განაგრძო სამჯერ და შემდეგ შეასრულა საიღუპლო ქორწინებისა.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ იმერეთის ეპისკოპოსი მიაქცევს ყურადღებას ამ საბრალო ქალიშვილების მდგომარეობას.

მ. ჩ.

ოკის უფლება

ბერლინის კონგრესისი

როდესაც ბერლინის კონგრესზე მცირე აზრის საქმეების თაობაზე ჩამოვარდნილა ლაპარაკი, ინგლისის წარმომადგენელს მარკიზ სალისბურის, სხვათა შორის, გამოუცხადებია, რომ ოლთისი ისევ ოსმალეთს უნდა დარჩესო. თ. შორისკაცს შეუტანია კრებაში წინადადება, რომ ცალკე კომისია ამოეარჩიათ ჩვენ შორის და ამ საქმის გარდაწყვეტა იმას მიეწოდოთო. კონგრესისი დათანხმებულია ამას და ამორჩეულს კომისიას იმ სხდომაზედვე გარდაუწყვეტია ოლთისის შეერთება რუსეთთან.

ამავე სხდომაზე სომხების შესახებაც ყოფილა სჯა. სომხების დელეგატებს შეუტანიათ კონგრესში წინადადება, რომ ჩვენი საეკლესიო უწყება სრულიად

დამოუკიდებელი უნდა იყოს ოსმალეთის მთავრობისგანაო. ლორდ ბიკონს-ფილდს უთქვამს ამის თაობაზე, რომ ოსმალეთის სომხების მდგომარეობა ისევ უნდა დარჩეს, სომხები იმავე დამოკიდებულებაში უნდა იქმნენ ოსმალეთის მმართველობისაგან, როგორც დღემდინ იყვნენო.

ბაზეთებში მხოლოდ ამ შემომოყვანილ ამბავს იწერებია სომხების შესახებ. მრთის ამბით გაგზავნეს ოსმალეთის სომხებმა დელეგატები ზოგი პეტერბურღში, ზოგი ლონდონში და მერე ყველა ერთად ბერლინის კონგრესზე; არზრუმიდამ კიდევ ცალკე დეპუტაცია იყო გაგზავნილი; მაგრამ, როგორც სჩანს, ყველა ამ ფაცა-ფუციდამ და მეცადინეობიდან არა გამოსულარა. შექვევლია, კონგრესზე სომხების თაობაზე რომ რამე მოლაპარაკება ყოფილიყო, თუ იმას რამე გადაწყვეტა იმათთვის, ტელეგრამმა გვაცნობებდა.

ჩვენ არ ვიცით ჯერ, თვითონ ქალაქს ბათუმს ვარდა, რა ადგილები რჩება კიდევ ოსმალთს საქართველოდამ რუსეთს. მხოლოდ ბერლინელი კორრესპონდენტი „Indep. Belge“-ისა კი იწერება, რომ ლაზები და ზღვის ნაპირა მიწები რუსების ხელ ქვევით დარჩნენო.

ინგლისის სამხედრო სამინისტროს შეკვეთილი ჰქონია მუღღისის არსენალისთვის ოთხი მილიონის თოფის სროლის (პატრონების) დამზადება. ახლა სამინისტროს მოუხდენია განგარგულება, რომ ამ სროლების დამზადება საქირო აღარ არისო.

განცხადება

ისუილება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

„საგარეულო წიგნი“

შედგენილი კნა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისუილება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი“. შედგენილი კნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვევით ლუქნებში, № 2.

ბარევე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлиси. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

დაიბეჭდა და ისუილება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და თელავს — სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანცივეთან

„ბატონიშვილი ირაკლის

პიკველი დრო

ანუ თავდადება ქართველთა“

ტრაგედია ოთხ მოქმედებად, თხუხუთ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ობრბელიანისა.

ბამოცემული ზ. ჰიჭინაძისაგან ფასი 30 კაპიკი

რკ. გზა.	ლილა.	სალა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	გაზანდა	მან კაპ	თფილისის სამაჰრანლო
თფილისი	9 21	5 18			მცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 6 ივლისი.		მრეგნის მაედანზე, წინამძღვარების სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	ჭუთაის, შოთს	1	ჭქე, თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 40	აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	მერი ფუთი	1 25	მ რ შ ა ბ ა თ ს: ქიუჩარინაც—ხორურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავთმყ.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	პეტერბურგს, შარშავას	2	ბაშბა მრეგნისა, ფუთი	6 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი შინაგ.
სურამი	1 44		4 42	2 46	ოსმალეთში, შევიცარიში	3	— ამერიკისა, ფუთი	7 50	ავთმყოფობის, რეიხის და ბახუტონი — ბებიაობის თვალის.
ქვირილი	5 49		5 81	3 23	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაპენტილი ბაშბა ფუთი.	10	მ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგანი ავთმყოფ, ბაკტრა—გულის და ნერვების ავთმყოფ.
რიონი	6 57		6 75	3 75	ინგლისში	3 75	მატული თუშური ფთ.	8 50	და მობრუტი — კბილის.
სამტრედია	7 51		7 73	4 29	ფოფტა		— მარაქამისა ფთ.	4 20	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
ახ.-სენაკი	8 43		8 57	4 76	ა) თფილისიდან: სამხედვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		აბრეშუმი ნუხური ხტ.	2	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგანი ავთმყოფ, ბაკტრა—გულის და ნერვების ავთმყოფ.
შოთი	9 50		9 75	5 42	ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მხურგეთს— ორშ. და პარასკ.		— მარაქამისა ფთ.	4 20	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
შოთი	9 83				წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამხედვარ გარეთ:		აბრეშუმი ნუხური ხტ.	2	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
ახ.-სენაკი	10 14		1 18	66	ლო წიგნის	4	ქონი, ფუთი.	6	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
სამტრედია	11 5		2 6	1 14	დაბეჭდილის (ხაზი მისხალი)	8	ქონის სანთელი ფუთი.	9	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
რიონი	12 13		3 4	1 69			სტეარინის სანთელი, ფ.	12 70	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
ქვირილი	1 18	ლაპე	3 98	2 21			ხორცი ოროზისა, ლიტ.	90	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
სურამი	5 12		1 10	5 33			— ცხვისა, ლიტრა	90	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
ხაშური	5 39		1 37	5 84			სპირტი, ვედრო	5 20	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
ბორი	7 5		4 8	3 6			შაქარი, ბროც. ფუთი	7 80	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
მცხეთა	8 50		6 59	9 8 5			— ფხვნილი ფუთი	6 40	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.
თფილისი	9 31		7 56	9 7 5			ქავე გრგვალი, გირგ.	70	შ ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი — შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარინაცი.